თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თერჯოლა 13 იანვარი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩხიკვაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ზურაბ ჩხიკვაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3.ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. მამული კოვზირიძე, 6. მირზა აფრიდონიძე, 7. ომარი ჯიხვაშვილი, 8. ბადრი ბუცხრიკიძე, 9. მაკა ყიფშიძე, 10. ნატო კვეტენაძე, 11. გიორგი ბერეკაშვილი, 12. სოსო ჩაფიჩაძე, 13. სერგი ჯიხვაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გრიგოლ გიორგაძე

კომისიის შემადგენლობა: 14 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 13 წევრი
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600958, 09.01.2025 წ.).

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი-თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ (ბიუჯეტში აისახა ნაშთი).

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 3007.9 ათასი ლარით და შეადგენს 26621.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 86.1 ათასი ლარით. მიზნობრივი ტრანსფერი.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 3094.0 ათასი ლარით. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე გამოიყო 1779.4 ათასი ლარი და 2026 წლის პირველი იანვრისათვის დარჩენილი ნაშთი 1314.6 ათასი ლარი (მიზნობრივი გრანტი 791.9 ათასი ლარი და ადგილობრივი შემოსავლები 522.7 ათასი ლარი) აისახა ბიუჯეტში.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 3007.9 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 203.7 ათასი ლარით. წინა წლის ვალდებულება.

გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოტაციის ხარჯი გაიზარდა - 60.0 ათასი ლარით.

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსება გაიზარდა - 50.0 ათასი ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა - 6.5 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა - 140.9 ათასი ლარით. წინა წლის ვალდებულება.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა, ასევე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსება გაიზარდა -235.0 ლარით (წინა წლის ვალდებულებაა 56.0 ათასი ლარი).

საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდება 2281.8 ათასი ლარით (წინა წლის ვალდებულებაა 502.4 ათასი ლარი).

სოციალური პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით, წინა წლის ვალდებულება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13 , წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ჩხივაძე